საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 0 20 0001246505

31/12/2020

„სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 23 დეკემბრის №1224009 ბრძანების მე-7 პუნქტის ბათილად ცნობისა და მასში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, მე-8 ნაწილის, 62-ე, 63-ე მუხლებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის 2020 წლის 28 დეკემბრის №1232943 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2020 წლის 23 დეკემბრის №1224009 ბრძანებაში და ბრძანების:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კონკურსი ჩატარდეს შემდეგი ეტაპების მიხედვით:

3.1. განაცხადის წარდგენა, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ავტობიოგრაფია (CV) და კვალიფიკაციების/განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი - 2020 წლის 25 დეკემბრიდან 2021 წლის 15 თებერვლის ჩათვლით;

3.2. განაცხადების გადარჩევა - 2021 წლის 15 მარტის ჩათვლით;

3.3. ტესტირების შესრულება ელექტრონული ფორმით - 2021 წლის 3 აპრილის ჩათვლით;

3.3.1. ტესტირების თემატიკად განისაზღვროს: ა) საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“; ბ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;

3.3.2. ტესტირების შედეგების საფუძველზე, ტრენინგის ეტაპზე დაშვებულ იქნეს საუკეთესო შედეგის მქონე არაუმეტეს 60 კონკურსანტისა;

3.3.3. თუ კონკურსანტთა რაოდენობა წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევის ეტაპის შემდეგ არ აღემატება 80-ს, ტესტირების ეტაპი არ იქნეს გამოყენებული.
3.4. ტრენინგის ჩატარება და ტესტირება/დავალების შესრულება ელექტრონული ფორმით - 2021 წლის 16 აპრილის ჩათვლით;
3.4. ტესტირების/დავალების შესრულების შედეგების განხილვა საკონკურსო კომისიის მიერ და კონკურსანტებისათვის საბოლოო შედეგების ინდივიდუალურად გაცნობა - 2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით.“

ბ) მე-7 პუნქტი ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან.

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ